შპს ალტერვეისტი
405383936
მასული № 06/03-AL
"05" 03 2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „ალტერვეისტი", ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, გეგმავს 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობას და ექსპლუატაციას.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, საწარმოსთვის შერჩეულ ტერიტორიაზე (ს. კ. 01.19.26.004.099), მოეწყოს 2 ერთეული ჰორიზონტალური რეზერვუარი, რომელშიც შეგროვდება ნარჩენი ზეთები და შეგროვების შესაბამისად, საწარმოში დამუშავების გარეშე, გატანილი იქნება ექსპორტზე. თითოეული რეზერვუარის მოცულობა იქნება 60 მ³.

ჩვენს მიერ დაგეგმილი საქმიანობა, წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-2 დანართის 10.5 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა) და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ „10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობის" სკრინინგის განცხადებას, შესაბამის ანგარიშთან ერთად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. ქ. თბილისში 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობის სკრინინგის ანგარიში - 1 ეგზ.
2. სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია და ობიექტის განთავსების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - 1 CD.

პატივისცემით,

გიორგი თოფაძე

შპს „ალერვეისტი"-ს დირექტორი

05.03.2021 წ.

შპს ალტერვეისტი Alterwaste 405383936 Alterwaste LLC

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 4115
"10" 03 2021